www.24saati.ge

24 საათი

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 17 აგვისტო, 2013 წელი. | №3347 (154) | ფასი 50 თეთრი

თსუ-ს ლადო პაპავა უხელმძღვანელებს

მაგდა ლეკიაშვილი

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსტეტი სასწავლო წლის დაწყებას ახალი რექტორით შეხვდება. რიგით 28 არჩევნებში ლადო პაპავამ გაიმარჯვა. მას აკადემიური საბჭოს 12 წევრიდან 10-მა დაუჭირა მხარი, მის კონკურენტს ირმა რატიანს კი - 2-მა. ხმის მიცემაში მონაწილეობა არ მიუღია აკადემიური საბჭოს ხელმძღვანელ ალექსანდრე კვიტაშვილს.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ბრალის აღიარება და 1000-ლარიანი გირაო

თიკა ნიკოლაძე

თამაზ თამაზაშვილის საქმეზე მაისში დაკავებული ექვსი პოლიციელი წინასწარი პატიმრობიდან 1000-1000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

სასამართლოს დაკავებულების გირაოთი გათავისუფლების შუამდგომლობით პროკურორმა ია დარჯანიამ მიმართა. მისი თქმით, ექვსივე ბრალდებული, ქალაქ თბილისის პოლიციის ყოფილი თანამშრომლები - გივი კრავჩენკო, გრიგოლ კვინიკაძე, ზაზა ჭაია, ვლადიმერ გამრეკელაშვილი, გოჩა ჩიტაია და გოჩა ბაღათრიშვილი დანაშაულს აღიარებენ და გამოძიებასთან თანამშრომლობენ.

გამოძიება თითქმის დასრულებულია და აქედან გამომდინარე, ბრალდების მხარემ მიიჩნია, რომ ნაკლებად არსებობს ბრალდებულების მხრიდან მტკიცებულებების მოპოვებაში ხელშეშლის საფრთხე. პროკურორის აღნიშნულ შუამდგომლობას დაცვის მხარის ადვოკატები და თავად ექვსივე ბრალდებული დაეთანხმა. ბრალდებულები დარბაზიდან გათავისუფლდნენ, გირაოს გადახდის ვადად კი ათი დღე განესაზღვრათ.

მთავარმა პროკურატურამ გენერალ თამაზ თამაზაშვილის უკანონო დაკავების შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაასრულა. პროკურატურის განცხადებით, გამოძიებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დანაშაულის უშუალო მონაწილეების, მათ შორის, უშუალო აღმსრულებლების, პატიმრობაში მყოფი კრავჩენკოს, კვინიკაძის, გამრეკელაშვილის, ჭაიას, ჩიტაიასა და ბაღათრიშვილის საგამოძიებო ორგანოებთან აქტიურმა თანამშრომლობამ.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

„შეურაცხყოფა ქართული სახელმწიფოსთვის"

ვლადიმერ პუტინი ალექსანდრე ანქვაბს შეხვდა

„ქართული ოცნების" და პირადად ბიძინა ივანიშვილის საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი პუტინ-ანქვაბის შეხვედრას საქართველოზე მორიგ დარტყმასა და შეურაცხყოფას უწოდებს და, მიუხედავად ამისა, რუსეთთან ურთიერთობის დალაგებაზე საუბრობს.

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი სოჭში აფხაზეთის დე-ფაქტო რეს-პუბლიკის ე.წ. პრეზიდენტ ალექსანდრე ანქვაბს შეხვდა.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

გაერო და აფრიკის კავშირი ეგვიპტეს ძალადობის შეწყვეტისკენ მოუწოდებენ

ივა შილაკაძე

გაეროს უშიშროების საბჭომ საგანგებო სხდომა ჩაატარა, სადაც ეგვიპტეში შექმნილი მდგომარეობა განიხილა და ამ ქვეყნის ხელისუფლებას და ოპოზიციასაც ძალადობის შეწყვეტისკენ მოუწოდა. ეგვიპტეში შექმნილ სიტუაციაზე საგანგებო განცხადება გაავრცელა აგრეთვე აფრიკის კავშირმა. თვით ეგვიპტიდან კი ჯერჯერობით სანუგეშო ინფორმაცია არ მოდის.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇓		
1 ევრო	2.2110⇓		
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓		
1 თურქული ლირა	0.8622⇓		
100 რუსული რუბლი	5.0433⇓		
თბილისი	31°C - 20°C		
ქუთაისი	33°C - 20°C		
ზუგდიდი	32°C - 21°C		
ბათუმი	27°C - 21°C		
ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4 საარჩევნო. სოციალმოძრავი მაუწყებელი
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

„მოჩვენებების" პარტიზანული ბრძოლა

Call of Duty: Ghosts - სერიის მეათე თამაში და მეათე წელი

ამურისპირეთი წყალდიდობის პიკის მოლოდინში

ივა შილაკაძე

რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში ძლიერი წვიმების გამო მდინარეებში წყალი სულ უფრო მატულობს. თვის ბოლომდე ამინდის გაუმჯობესებას არც ელოდებიან, რადგან ამ ზონას წყნარი ოკეანის მხრიდან ახალი ტაიფუნი უახლოვდება. სიტუაციას ისიც ართულებს, რომ წყალდიდობასთან ბრძოლა ორი სახელმწიფოს - ჩინეთისა და რუსეთის ტერიტორიებზე ცალ-ცალკე მიმდინარეობს. წყალდიდობის პიკს მდინარეების ზედა დინებაში - მაგალითად, ბურეისკის წყალსაცავის ზონაში - 18 აგვისტოს ელოდებიან, უფრო ქვევით, ხაბაროვსკსა და კამსამოლსკში კი, დაახლოებით, 25 აგვისტოს.

ამურის ოლქის და მისი ადმინისტრაციული ცენტრის ბლაგოვეშჩენსკის დატბორვის შესახებ წინა დღეებში წერდა „24 საათი". უკვე საფრთხე შეექმნა ხაბაროვსკის მხარესაც და თვით ქალაქ ხაბაროვსკსაც, რომელიც ამურს 50 კილომეტრის სიგრძეზე გასდევს. ამურის გარდა, წყალი მომატებულია მდინარეებში ზეიაში, სუნგარისა და უსურიშიც.

გუშინდელი მონაცემებით, უკვე დატბორილია 88 დასახლებული პუნქტი და 4-დან 5 ათასამდე სახლი. ამას გარდა, ბევრგან შეწყვეტილია საავტომობილო და სარკინიგზო მიმოსვლა, დატბორილია საავტომობილო გზებიც და დანგრეულია, სულ ცოტა, 30 ხიდი. რეგიონები იძულებითი ევაკუაციისთვის ემზადებიან.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

მამა ნიკოლოზი: ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ ცრუ ჩვენებას მოვაწერე ხელი

შინაგან საქმეთა და თავდაცვის ყოფილ მინისტრ ბაჩო ახალაიას ადვოკატთა განცხადებით, ავჭალის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მღვდელს, მამა ნიკოლოზს გამომძიებელმა კახა ჭუმბაძემ ახალაიას წინააღმდეგ ჩვენების მიცემა აიძულა.

ადვოკატებმა ვიდეომასალა გაავრცელეს, სადაც მამა ნიკოლოზი ზეწოლაზე საუბრობს.

ადვოკატ მალხაზ ველიჯანაშვილის თქმით, მამა ნიკოლოზმა იძულებით მოაწერა ხელი ისეთ დოკუმენტს, რომლის მიხედვით დგინდება, რომ ბაჩო ახალაიას რეკომენდაციით, სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე დაკავებული პირები სასჯელს, სხვა პატიმრებთან შედარებით, უკეთეს პირობებში იხდიდნენ.

ახალაიას ადვოკატ რომეო საჯაიას განცხადებით, მამა ნიკოლოზი 13 აგვისტოს ქალაქის პროკურატურაში დაიბარეს.

„გამომძიებელი დაჭერის მუქარით, იძულებითა და შანტაჟით ცდილობდა, მამა ნიკოლოზს ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ მიეცა ცრუ ჩვენება,“ - ამბობს საჯაია.

ადვოკატები საკითხის გამოძიებას და იმ პირთა დასჯას ითხოვენ, ვინც მღვდელზე ზეწოლა განახორციელა.

ვიდეოჩანაწერში მამა ნიკოლოზი ამბობს, რომ მისი დაკითხვა მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და იხსენებს, რომ კახა ჭუმბაძის სამუშაო ოთახში, ჭუმბაძესთან ერთად, კიდევ, დაახლოებით, ოთხი პირი იმყოფებოდა, რომლებიც მისგან არარსებული ფაქტების დადასტურებას და ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ ჩვენების მიცემას ითხოვდნენ.

„ისინი ითხოვდნენ ჩვენების მიცემას. ჩვენება შეეხებოდა ალანიას, ღაჭავას, ბიბილურიძის, აფციაურის სასჯელის მოხდის პერიოდს. ისინი ჩემგან ითხოვდნენ არარსებული ფაქტების დადასტურებას, რომ ცრუ ჩვენება მიმეცა ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ,“ - აცხადებს მამა ნიკოლოზი.

მისი თქმით, კახა ჭუმბაძე და დანარჩენი პირები დაპატიმრებით დაემუქრნენ, რის შემდეგაც ხელი ცრუ ჩვენებას მოაწერა.

„პირდაპირ, მუქარით მითხრეს, რომ თუ არ მოხერხდებოდა იმ ფაქტების დადასტურება, რაც მათ აწყობდათ, მოხდებოდა ციხის ყოფილი შვიდი თანამშრომლის, მათ შორის ჩემი დაკავება,“ - განაცხადა მამა ნიკოლოზმა.

მამა ნიკოლოზი, იგივე თემურ ტაბაღუა, წარსულში სასჯელაღსრულების N1 დაწესებულების უფროსი იყო.

ბაჩო ახალაიას ადვოკატ მამუკა ველიჯანაშვილის თქმით, თემურ ტაბაღუა აღნიშნულ თანამდებობაზე 2004-2005 წლებში მუშაობდა და უჩიოდნენ თუ არა მას პატიმრები, ამის შესახებ ინფორმაციას ველიჯანაშვილი არ ფლობს.

„არ ვიცი, უჩიოდნენ თუ არა მას პატიმრები და იყო თუ არა მოხვედრილი მისი საქმიანობა სახალხო დამცველის ანგარიშში, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, მის მიმართ ხომ არ შეიძლება იძულება განხორციელდეს. დღეს მოქმედი სასულიერო პირია. ადრე ციხის უფროსი იყო - ავჭალის კოლონიის,“ - განაცხადა ველიჯანაშვილმა.

სასჯელაღსრულების N1 დაწესებულების უფროსი თემურ ტაბაღუა, იგივე მამა ნიკოლოზი, იმჟამინდელი სახალხო დამცველის სოზარ სუბარის ანგარიშშია მოხსენებული.

2006 წლის სახალხო დამცველის ანგარიშში საუბარია იმაზე, რომ თემურ ტაბაღუას მსჯავრდებული იაგო წიქვაძე ფიზიკურ შეურაცხყოფაში ადანაშაულებს.

სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, მსჯავრდებული წიქვაძე 21 მარტს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა ცხელ ხაზზე შესული ინფორმაციის შემდეგ თბილისის N1 საპყრობილეში მოინახულეს.

პატიმარს სახესა და ზურგის არეში ძლიერი ფიზიკური დაზიანებები აღენიშნებოდა. პატიმარი იმდენად ცუდად გრძნობდა თავს, რომ მისი გადაადგილება ვერ მოხერხდა და სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა იგი საკანშივე ინახულეს. ძლიერი თავის ტკივილების გამო წაქვაძემ ვერც ახსნა-განმარტების დაწერა შეძლო. შესაბამისად, მისი ახსნა-განმარტების დაწერა სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებს მოუწიათ და პატიმარმა მხოლოდ ხელი მოაწერა. როგორც პატიმარი იაგო წაქვაძე აცხადებს, სიტყვიერი შეურაცხყოფისა და შეკამათების შემდეგ, მას ფიზიკური დაზიანებები საპყრობილის ადმინისტრაციის თანამშრომლებმა მიაყენეს, მათ შორის - ციხის უფროსმა თემურ ტაბაღუამ, - აღნიშნულია ომბუდსნების 2006 წლის ანგარიშში.

ბრალის აღიარება და 1000-ლარიანი გირაო

პირველი გვერდიდან

სწორედ აქედან გამომდინარე მიიღო პროკურატურამ მათთვის აღკვეთის ღონისძიების შემსუბუქების გადაწყვეტილება.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი, შსს-ს ყოფილი თანამშრომლები თავდაპირველად არათუ ბრალს აღიარებდნენ, არამედ პროკურატურას ზეწოლაშიც ადანაშაულებდნენ და ამბობდნენ, რომ მათ „არარსებული ბრალის აღიარებას“ სთხოვენ.

„საქმეში მონაწილე და მასთან დაკავშირებულ პოლიციელებს დიდი ხანია, ემუქრებიან და ჩვენზე ზეწოლას ახდენენ. გასული წლის ოქტომბერში შემხვდა გენერალური პროკურორის მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილი და მითხრა, რომ თამაზ თამაზაშვილის თემაზე უნდა გესაუბროო. მან მითხრა, რომ ეს კაცი გაგამწარებსო. სასამართლოს ეზოში ახლა დავინახე სპეცრაზმის ექვსი მანქანა. არ ვეთანხმები ადვოკატს და მოვითხოვ, რომ თუკი რომელიმე პოლიციელს შეეფარდება პატიმრობა, მეც ვითხოვ წინასწარ პატიმრობას. ასევე ვაგრძელებ უვადო მშრალ შიმშილობას იქიდან გამომდინარე, რომ არც ერთი პოლიციელი, რომელიც თამაზაშვილის გამოა დაკავებული, ბრალდებული არ არის,“ - განაცხადა ზაზა ჭაიამ ჯერ კიდევ 28 მაისს, იმ სასამართლო სხდომაზე, როცა მას და მის „თანამონაწილეებს“ აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეუფარდეს.

ამავე პროცესზე განცხადება გააკეთა გრიგოლ კვინიკაძემაც და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ გამოძიების დაწყებამდე მათზე ზეწოლა ხორციელდებოდა. ექვსი პოლიციელის დაკავებამდე კი იყო შეთავაზება, რომ ერთ-ერთს ბრალი ეღიარებინა, დანარჩენებს გაუშვებდნენ და იმ ერთ ბრალდებულსაც საპროცესო შეთანხმებას გაუფორმებდნენ, თუმცა როგორც კვინიკაძემ განაცხადა, ამაზე არც ერთი პოლიციელი არ იყო თანახმა და ისინი ზუსტად იმ საღამოს დააკავეს, რაც სასაციოლოა.

ამ პროცესიდან, დაახლოებით, სამი თვის შემდეგ ყველა ბრალდებულმა ბრალი აღიარა და გამოძიებასთან თანამშრომლობის საფუძველზე მათ აღკვეთის ღონისძიება შეუმსუბუქდათ. საბოლოოდ, ანუ 16 აგვისტოს, 1000-ლარიანი გირაოთი ყველა მათგანი დარბაზიდან გაათავისუფლეს. პროცესის დასრულების შემდეგ პატიმრობიდან გათავისუფლებულა არც ერთმა ყოფილმა პოლიციელმა ჟურნალისტებთან კომენტარი არ გააკეთა. სამაგიეროდ, კომენტარს აკეთებენ და „ქრისტიანული საქციელისთვის“ თამაზ თამაზაშვილს მადლობას უხდიან ბრალდებულების ადვოკატები. გრიგოლ კვინიკაძის ადვოკატი დარეჯან სილაგაძე აცხადებს, რომ თამაზ თამაზაშვილმა ბრალდებულების მიმართ კეთილშობილური დამოკიდებულება გამოიჩინა.

ადვოკატი ამბობს, რომ დაზარალებულზე ბევრია დამოკიდებული და თავისი დაცვის ქვეშ მყოფის სახელით თამაზაშვილს მადლობას უხდის.

„ჩემმა დაცვის ქვეშ მყოფმა საშინელი დანაშაული ჩაიდინა, უდანაშაულო ადამიანს ყალბი საბუთების საფუძველზე მოუხდა ერთი წელი ყველასთვის ცნობილ პირობებში - ციხეში ყოფნა. მიუხედავად ამისა, როგორც ქრისტიანმა კაცმა, თამაზაშვილმა მათ შეუნდო დანაშაული. დარწმუნებული ვარ, რომ ეს დანაშაული ზედა დონეებიდან მომდინარეობდა,“ - განაცხადა დარეჯან სილაგაძემ „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში.

კიდევ ერთი ბრალდებულის გოჩა ბაღათრიშვილის ადვოკატ ირმა ჭკადუას განცხადებით, ბრალდებულმა ყოფილმა პოლიციელებმა აღიარეს, ვის დავალებას ასრულებდნენ.

„დაკავების მომენტიდან ბრალდებულები თავს დამნაშავედ არ ცნობდნენ, რამდენიმე დღის წინ კი სრულად ითანამშრომლეს გამოძიებასთან და ჩადენილი დანაშაული აღიარეს. შესაბამისად, მათთვის აღკვეთის ღონისძიების შემსუბუქების შესახებ პროკურატურის გადაწყვეტილება აბსოლუტურად კანონიერი იყო. მე ვესწრებოდი ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის ყველა ჩვენებას და მასზე არავითარი ზეწოლა არ განხორციელებულა. მათ აღიარეს, თუ ვის დავალებას ასრულებდნენ თამაზაშვილის დაკავებისას,“ - განაცხადა ირმა ჭკადუამ.

თუმცა, ორივე ადვოკატი თავს იკავებს პირების დასახელებისგან, რომლებმაც ბრალდებულ პოლიციელებს მტკიცებულების ფალსიფიკაციის საფუძველზე თამაზაშვილის დაკავება დაავალეს.

რაც შეეხება წინასასამართლო სხდომას 2011 წელს თამაზაშვილის დაკავების საქმეზე, პროცესი 26 აგვისტოს, 11:00 საათისთვის ჩაინიშნა.

წინასასამართლო სხდომაზე ოლეგ მელნიკოვის სტატუსი ვერ გაარკვიეს

2005 წელს ორი პოლიციელის ცემის ფაქტზე დათა ახალაიას, იოსებ თოფურიძის, ოლეგ მელნიკოვისა და გერონტი ალანიას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის წინასასამართლო სხდომა 22 აგვისტოსთვის გადაიდო. ადვოკატთა განმარტებით, პროცესის გადადების მიზეზი მელნიკოვის სტატუსის გაურკვევლობა გახდა. კერძოდ, მელნიკოვის ადვოკატ მალხაზ ველიჯანაშვილის ინფორმაციით, პროკურატურამ ვერ წარადგინა დოკუმენტაცია იმის შესახებ, რომ მელნიკოვი უკრაინაში პატიმრობაში იმყოფება. შესაბამისად, სასამართლომ ბრალდების მხარეს სტატუსის გასარკვევად დრო მისცა და პროცესი 22 აგვისტოს, 16:00 საათზე განახლდება.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე ოთხი ბრალდებულიდან განხილვებს არც ერთი არ ესწრება. ყველა ბრალდებულზე ძებნაა გამოცხადებული.

როგორც ერთ-ერთი ბრალდებულის გერონტი ალანიას ადვოკატმა კახა შონიამ განმარტა, მისი დაცვის ქვეშ მყოფი საქართველოში არ იმყოფება. ადვოკატისთვის გაურკვეველია, თუ რა ბრალი მიუძღვის 2005 წლის ეპიზოდში გერონტი ალანიას. ამასთან, კახა შონიას განმარტებით, გერონტი ალანიას, რომელიც სანდრო გირგვლიანის საქმეზე იხდიდა სასჯელს, ამჟამად სხვა სისხლის სამართლის საქმეზე ბრალი არა აქვს წარდგენილი.

დათა ახალაია და კუდ-ის სხვა ყოფილი მაღალჩინოსნები - იოსებ თოფურიძე, გერონტი ალანია და ოლეგ მელნიკოვი ბრალდებულნი არიან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების, კერძოდ კი, პოლიციელების ცემის გამო.

„შეურაცხყოფა ქართული სახელმწიფოსთვის“

პირველი გვერდიდან

როგორც აფხაზური მედია წერს, შეხვედრაზე აფხაზურ-რუსული ურთიერთობები და თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

პუტინმა და ანქვაბმა ასევე ისაუბრეს გაგრაში და ოჩამჩირის რაიონში მომხდარი სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებზე.

აფხაზეთში სტიქია ივლისის ბოლოს და აგვისტოს დასაწყისში მოხდა, შედეგად დაზიანდა საცხოვრებელი სახლები და ინფრასტქურტურა.

საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის და აფხაზეთის დე-ფაქტო რესპუბლიკის ე.წ. პრეზიდენტ ალექსანდრე ანქვაბის შეხვედრას განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებს.

ამის შესახებ მაია ფანჯიკიძემ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რითაც სოჭში პუტინსა და ანქვაბს შორის გამართულ შეხვედრას გამოეხმაურა. მისივე თქმით, ეს პირველი შეხვედრა არ იყო.

„ჩვენ ამ შეხვედრებს ვაკვირდებით, რასაკვირველია შესაბამისი დასკვნებიც გამოგვაქვს. ეს დასკვნები შემდეგ აისახება ჩვენს ურთიერთობებში და საუბრებში, რომელიც გვაქვს პირდაპირ თუ ჟენევის ფორმატში რუსეთის ფედერაციასთან, მაგრამ ეს რადგანაც ახალი არ არის და ასეთი შეხვედრები ადრეც იყო, ამას ახლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ამ ეტაპზე არ მივანიჭებდი“, - განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატმა გიორგი მარგველაშვილმა კი, რომელიც გუშინ წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში შეხვედრებს სტეფანწმინდაში მართავდა, ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა:

„ეს კიდევ ერთი დარტყმა და შეურაცხყოფაა ქართული სახელმწიფოსთვის, ჩვენთვის სხვა ფორმის დარტყმებიც მოსალოდნელია, მაგრამ ჩვენ არც ერთ პროვოკაციაზე არ წამოვეგებით და პოლიტიკა მიგვყავს რუსეთთან ურთიერთობის დალაგების დასაწყისისკენ და ჩვენი პარტნიორები ძალიან აქტიურად არიან ჩართული, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემატიკის გადაწყვეტა, ნორმალურ რაციონალურ და თანამედროვე კონტექსტში დაიწყოს“.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი **რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68,**
საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

თსუ-ს ლადო პაპავა უხელმძღვანელებს

პირველი გვერდიდან

ხმის მიცემის პროცედურა, დაახლოებით, 20-25 წუთს გაგრძელდა. როგორც აკადემიური საბჭოს წევრებმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადეს, მათ სასურველ კანდიდატს ხმა მისცეს სამოქმედო გეგმის, მეცნიერული შესაძლებლობების, რადიკალურ ცვლილებებზე რეაგირებისა და სხვა უნარების გათვალისწინებით.

ხმის მიცემა თსუ-ში 14:00-დან 16:00 საათამდე მიმდინარეობდა. რექტორის არჩევნებში რეგისტრირებული 14 კანდიდატიდან მონაწილეობა მიიღო 13-მა - ვლადიმერ პაპავამ, გიორგი ქავთარაძემ, გიორგი ბარამიძემ, ილია თავხელიძემ, ცირა ბარამიძემ, მერაბ ცაგარელმა, ირმა რატიანმა, მედეა ჩუხუამ, მარინა მუსხელიშვილიმა, მანანა ხაჩიძემ, ინესა მერაბიშვილმა, ნონა წოწერიამ და დავით გოცირიძემ. კიდევ ერთმა კანდიდატმა მარინე ჩიტაშვილმა თავისი კანდიდატურა ლადო პაპავას სასარგებლოდ მოხსნა და ამის შესახებ განცხადებით მან კომისიას რამდენიმე დღის წინ მიმართა. არჩევნებს სულ ცხრა არასამთავრობო ორგანიზაცია აკვირდებოდა. მათი შეფასებით, საარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

ლადო პაპავამ რექტორის რანგში პირველი კომენტარი უკვე გააკეთა. მისი შეფასებით, უნივერსიტეტში მოსაგვარებელია მიმდინარე და ასევე სტრატეგიული საკითხები. მიმდინარე საკითხები ახალი სასწავლო წლის დაწყებას ეხება და, ბუნებრივია, გარკვეული ტექნიკური საკითხებიც დასარეგულირებელი იქნება. რაც შეეხება სტრატეგიულ საკითხებს, უმთავრესია ის, რომ უნივერსიტეტმა სტუდენტს თანამედროვე, მაღალი დონის ცოდნა მისცეს.

„ეს ცოდნა უნდა იყოს საერთაშორისო სტანდარტების. იქიდან გამომდინარე, რომ სტუდენტების უმთავრესი პრობლემა სახელმძღვანელოებია, ვაპირებთ, საერთაშორისო დონის შესაბამისი სახელმძღვანელოები შემოვიტანოთ. ჩვენს პროფესორებს გარკვეული სტიმული უნდა მივცეთ, რათა მათ შექმნან ან თარგმნონ ასეთი საერთაშორისო დონის სახელმძღვანელოები, რომლებიც სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი იქნება - სულ ცოტა, ელექტრონული ფორმატებით მაინც. გარდა ამისა, აუცილებელია სტუდენტთა ჩართვა სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში. ის დაფინანსება, რომელიც უნივერსტეტს დღეს აქვს, მიმდინარე საკითხების გადასაწყეტად სრულიად საკმარისია. თუმცა დამატებითი ფინანსური რესურსის მოსაზიდად უნივერსტეტი აქტიურად იმუშავებს. იმედია, ქართული ბიზნესი თვალს გაახელს და მიხვდება, რომ მას განათლებული კადრები სჭირდება, ხოლო უნივერსტეტი განათლებული თაობის აღზრდას უზრუნველყოფს,“ - ამბობს ლადო პაპავა.

გუშინ არჩევნების მიმდინარეობის პარალელურად, უნივერსიტეტის შენობასთან 20-მდე სტუდენტი აქციას მართავდა. აქციის მონაწილეები აცხადებდნენ, რომ უნივერსიტეტი თავისუფალი უნდა იყოს. სტუდენტების თქმით, აკადემიური საბჭოს 12 წევრის ლეგიტიმაციის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა, რადგან საუნივერსიტეტო საზოგადოება 23 000 ადამიანს ითვლის. მათ მიაჩნიათ, რომ აკადემიური საბჭოს 12 წევრს უფლება არ აქვს, საუნივერსიტეტო პროცესები განსაზღვროს.

„უპირველესად, კითხვის ქვეშ ვაყენებთ აკადემიური საბჭოს ლეგიტიმაციის საკითხს, რადგან 23 000-იან საუნივერსიტეტო საზოგადოებას 12 კაცი ვერ წარმოადგენს, ეს არის არარეპრეზენტაბელური. ისინი საყოველთაოდ ლეგიტიმირებულნი ვერ იქნებიან, ისინი ანგარიშვალდებულები არიან ჩვენი, საუნივერსიტეტო საზოგადოების წინაშე და ისინი არ უნდა იყვნენ მოქცეული პარტიული გავლენის ქვეშ,“ - განაცხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტის სტუდენტმა ლევან ლორთქიფანიძემ. აქციაზე შემდეგი სახის ბანერებიც გამოჩნდა: „თავისუფლება უნივერსიტეტს, არა - პარტიულ გავლენებს“, „აკადემიური საბჭოს წევრებო, თქვენ ანგარიშვალდებულნი და პასუხისმგებელნი ხართ ჩვენი, საუნივერსიტეტო საზოგადოების წინაშე“, „არა - პოლიტიზირებულ აკადემიურ საბჭოს“.

თუმცა, უნივერსიტეტში საარჩევნო უბნების დახურვის შემდეგ სტუდენტები აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით კმაყოფილები დარჩნენ. რექტორად ლადო პაპავას დანიშვით აკადემიურმა საბჭომ მათ მოთხოვნებს ადეკვატურად უპასუხა.

„ჩვენ ვითხოვდით, რომ რექტორად რომელიმე პარტიასთან ასოცირებული პირი არ აერჩიათ. მათ ეს გადაწყვეტილება მიიღეს და ამ ეტაპზე კმაყოფილები ვართ. მაგრამ სექტემბრიდან ვგეგმავთ, დავიწყოთ მოძრაობა იმისთვის, რომ უნივერსიტეტში გადაწყვეტილებას მხოლოდ 12 კაცი არ იღებდეს და პროცესში გაცილებით მეტი ადამიანი იყოს ჩართული, რადგან სისტემა კვლავ არსებობს და მხოლოდ ერთი პერსონის ჩანაცვლება, საბოლოო ჯამში, არაფერს ცვლის,“ - განაცხადა თსუ-ს სტუდენტმა ლევან ლორთქიფანიძემ.

სტუდენტების მოთხოვნას ახალი რექტორიც გამოეხმაურა. ლადო პაპავას თქმით, არჩევნები უმაღლესი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად ჩატარდა და ფორმატის ცვლილებაზე საუბარი მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება, რაც კანონი შეიცვლება. მისი განცხადებით, აკადემიური საბჭოს 12 წევრი უნივერსტეტის 6 ფაკულტეტის 2-2 წარმომადგენლით არის დაკომპლექტებული. მათ არჩევაში კი როგორც აკადემიური პერსონალი, ასევე სტუდენტებიც მონაწილეობდნენ. პაპავა მიესალმება, რომ საუნივერსიტეტო საქმიანობაში რაც შეიძლება მეტი სტუდენტი იყოს ჩართული, თუმცა ეს კანონზეა დამოკიდებული და ამას უნივერსიტეტი თავის წესდებით ვერ განსაზღვრავს.

„გიორგი მარგველაშვილი პასუხისმგებლობას გაექცა“

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა „უმაღლესი განათლების“ შესახებ კანონპროექტს ვეტო დაადო. საუბარია პარლამენტის მიერ „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შეტანილ ცვლილებებზე, რომლის თანახმად, უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს და დეკანებს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი მოეთხოვებათ. აღნიშნული საკანონმდებლო ნორმის თანახმადვე, უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელს საარჩევნო კოლეგია აირჩევს, რომლის შემადგენლობაშიც ყველა ის პირი შევა, ვისაც უნივერსიტეტში აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობა აქვს და დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ ხარისხს ფლობს. პრეზიდენტის ადმინისტრაციის განმარტებით, აღნიშნული ცვლილებები უმაღლეს აკადემიურ სფეროში ახალგაზრდა მეცნიერების მიზიდვას ხელს შეუშლის. საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელ სერგო რატიანის შეფასებით კი, პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი განათლების მინისტრის თანამდებობიდან იმიტომ გადადგა, რომ განათლების სამინისტროს პრობლემებზე პასუხისმგებლობას გაექცა. ამით რატიანი სწორედ პრეზიდენტის გადაწყვეტილებას გამოეხმაურა. როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე დეპუტატმა აღნიშნა, პრეზიდენტის შენიშვნა შეეხება პუნქტებს, რომლებითაც ახალი თაობის მეცნიერთა უფლებები იზღუდება და უნივერსიტეტის ავტონომიურობასა და განვითარებას პრობლემა ექმნება. გარდა ამისა, როგორც რატიანი აცხადებს, პრეზიდენტის შენიშვნები შეეხება კანონპროექტის იმ ნაწილს, რომლის თანახმადაც, დოქტორანტებს ერთმეოდათ უფლება, გამხდარიყვნენ ასისტენტ-პროფესორები, ხოლო დოქტორანტის აკადემიური ხარისხის მქონე მოქმედ ასისტენტ-პროფესორებს ერთმეოდათ უფლება, აერჩიათ რექტორის მოვალეობის შემსრულებელი. მისივე თქმით, პრეზიდენტის ვეტო კანონპროექტის იმ მუხლებსაც ეხება, რომლებიც უნივერისტეტებს უკრძალავს, დეკანად აირჩიოს სხვა წარმატებული უნივერსიტეტის მეცნიერი. პრეზიდენტის შენიშვნა ასევე ეხება პუნქტს, რომლის გამოც, სერგო რატიანის თქმით, უნივერსიტეტები რექტორად ვერასდროს მოიწვევენ წამყვანი უნივერსიტეტებიდან წარმატებულ მეცნიერებს.

„მათ შორის იმ ქართველებს, რომლებიც უცხოეთში მუშაობენ, რადგან კანონი უნივერსიტეტების რექტორს უწესებს ხელფასის ზღვრულ კოეფიციენტებს. ეს კი უნივერსიტეტის ავტონომიაში ჩარევაა,“ - აცხადებს დეპუტატი. მისი თქმით, პრეზიდენტის კიდევ ერთი შენიშვნა პროექტის იმ ნაწილს ეხება, რომლის თანახმადაც, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს აკადემიური თანამდებობის დაკავება ეკრძალება.

„ეს პარადოქსია, რადგან საქართველოს კანონმდებლობით აკადემიური თანამდებობა თავსებადია ნებისმიერ საქმიანობასთან. აქედან გამომდინარე, მარგველაშვილი გადადგა განათლების მინისტრის თანამდებობიდან არა იმიტომ, რომ მოერიდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას, არამედ იმიტომ, რომ გაქცეოდა განათლების სამინისტროს პრობლემებზე პასუხისმგებლობას. აქვე შეგახსენებთ, რომ წელს მასწავლებელთა და აბიტურიენტთა უპრეცედენტო რაოდენობა ჩაიჭრა და ეს პასუხისმგებლობა მარგველაშვილს ეკისრება. ამ ფონზე მინდა, მივუღოცო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, თითოეულ პროფესორს და სტუდენტს, რომ მათ შეძლეს, დაეცვათ საკუთარი ავტონომია და ეძლევათ საშუალება, თავად აირჩიონ საკუთარი რექტორი,“ - განაცხადა სერგო რატიანმა.

ხათუნა კალმახელიძე და დიმიტრი შაშკინი პროკურატურაში მოწმის სახით დაიბარეს

მთავარ პროკურატურაში, მოწმის სახით, ხათუნა კალმახელიძე და დიმიტრი შაშკინი დაიბარეს. პროკურატურის ინფორმაციით, საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა ცემა-წამებისა და მათ მიმართ ჩადენილი არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე საქართველოს პროკურატურის ცენტრალურ აპარატსა და რეგიონულ დანაყოფებში წარმოებული სისხლის სამართლის ათეულობით საქმის, აგრეთვე, ამ საქმეებზე დამდგარი გამამტყუნებელი განაჩენების დეტალური შესწავლის შედეგად გამოიკვეთა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების ქმედებებზე უფლებამოსილი სამინისტროს მიერ სახელმწიფო კონტროლის ფუნქციის რეგულარული შეუსრულებლობის, დანაშაულის ნიშნების შემცველი ფაქტები.

„კერძოდ, დადგენილია, რომ წლების განმავლობაში პატიმართა ცემა-წამებასა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებს ადგილი ჰქონდა სასჯელაღსრულების თითქმის ყველა დაწესებულებაში და ხორციელდებოდა სისტემატურად, ჯგუფურად, რამოდენიმე წლის მანძილზე, ყოველდღიურად, სხვადასხვა საშუალებებითა და მეთოდებით, როგორც საკნებში, ასევე სასჯელაღსრულების დაწესებულების ღია ტერიტორიაზე.

აღნიშნული ფაქტები წლების განმავლობაში რჩებოდა სათანადო რეაგირების გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაცია ამ ფაქტების შესახებ რეგულარულად აისახებოდა საქართველოს სახალხო დამცველის, აგრეთვე ადგილობრივი და საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების ანგარიშებში და ვრცელდებოდა მასმედიის საშუალებებით.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, 2013 წლის 25 ივლისს საქართველოს მთავარ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის ცალკეულ პირთა მიერ სამსახურებრივი გულგრილობის სავარაუდო ჩადენის ფაქტზე.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, საქართველოს მთავარ პროკურატურაში, მოწმის სტატუსით დაკითხვის მიზნით, გამოძახებული არიან საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა ყოფილი მინისტრები ხათუნა კალმახელიძე და დიმიტრი შაშკინი.

ამავე საქმეზე, უახლოეს დღეებში, მოწმის სტატუსით ასევე დაიკითხება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე ბაჩანა ახალაია,“ - აღნიშნულია უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ევროპულ ფასეულობათა ინსტიტუტი - ზურაბ ადეიშვილი ინტერპოლის წითელი ცირკულარით არ იძებნება

იუსტიციის ყოფილი მინისტრი ზურაბ ადეიშვილი საქართველოს სამართალდამცველების მიერ, შემდგომი ექსტრადიციისა და პასუხისგებაში მიცემის მიზნით არ იძებნება. ამის შესახებ ნათქვამია საქართველოს ევროპულ ფასეულობათა ინსტიტუტის (GIEV) მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„საქართველოს შს სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებულ ინტერპოლის ძებნილთა სიის გაცნობის შედეგად აღმოჩნდა, რომ საქართველოს იუსტიციის ყოფილი მინისტრი, ბატონი ზურაბ ადეიშვილი საქართველოს სამართალდამცველების მიერ, შემდგომი ექსტრადიციისა და პასუხისგებაში მიცემის მიზნით არ იძებნება.

იმ ფონზე, როდესაც ოფიციალური პირების განცხადებებში ადეიშვილის შესახებ, მის მოქმედებებში იკვეთება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი დანაშაულის ნიშნები და როდესაც საქართველოს პრეზიდენტმაც არაერთხელ დაადასტურა სატელევიზიო ინტერვიუებში, რომ არსებობს კონკრეტული კითხვები ადეიშვილის მიმართ, ასეთი მიდგომა გაუგებარია და შესაბამისად, ბადებს საფუძვლიან ეჭვებსა და კითხვებს, კერძოდ:

1) მიმდინარეობს თუ არა გამოძიება ზურაბ ადეიშვილის მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენის შესახებ?

2) დადებით შემთხვევაში, რა მუხლებით?

3) არის თუ არა იგი დაუსწრებლად მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში?

4) რატომ არ არის გამოცხადებული საერთაშორისო ძებნაში ინტერპოლის წითელი ცირკულარით?

5) არის თუ არა ცნობილი მისი ადგილსამყოფელი და მიმდინარეობს თუ არა მისი ექსტრადიციისთვის საჭირო პროცედურების განხორციელება?

საქართველოს ევროპულ ფასეულობათა ინსტიტუტი იმედს გამოთქვამს, რომ ზემოხსენებული კითხვები უპასუხოდ არ დარჩება,“ - ნათქვამია საქართველოს ევროპულ ფასეულობათა ინსტიტუტის განცხადებაში.

სირიის ომის გამოძახილი ლიბანში

სხვადასხვა მონაცემებით, 16-დან 20-მდე ადამიანი დაიღუპა და, დაახლოებით, 200 დაიჭრა ბეირუთის სამხრეთ რაიონში მომხდარი ძლიერი აფეთქების შედეგად. აფეთქება კვარტლებს ბირ-აბედსა და რავეისს შორის მოხდა. ეს შიიტებით მჭიდროდ დასახლებული რაიონია და გასამხედროებული მოძრაობა „ჰეზბოლას“ (ალაჰის პარტია) ციტადელად მიიჩნევა. დანაღმული ავტომობილი ვიწრო ქუჩაზე, ორ მრავალბინიან სახლს შორის აფეთქდა. იქვე ახლოს კომპლექსი „საიიდ შუჰადა“ მდებარეობს, რომელშიც ხშირად ტარდება „ჰეზბოლას“ მომხრეთა მიტინგები. ახლოს არის თვით დაჯგუფების შტაბიც, თუმცა ძნელი სათქმელია, რომ რომელიმე მათგანი ტერორისტების კონკრეტული სამიზნე ყოფილიყო. ეტყობა, ამფეთქებლებს, უბრალოდ, დიდი მსხვერპლის გამოწვევა სურდათ. ქუჩა მალე გაივსო მეხანძრეებითა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომობილებით. თუმცა აფეთქებიდან ორი საათის შემდეგაც უბნის თავზე კვამლი ისევ იდგა. განადგურდა რამდენიმე შენობა და უამრავი ავტომანქანა. თვითმხილველებმა აფეთქება მიწისძვრას შეადარეს.

„ჰეზბოლამ“ მომხდარს ტერაქტი უწოდა და მოსახლეობას სიმშვიდისკენ მოუწოდა. ფაქტობრივად, არავის ეპარება ეჭვი, რომ ეს არის პასუხი „ჰეზბოლას“ აქტიურ მონაწილეობაზე სირიის სამოქალაქო ომში. სირიელი ამბოხებულები მათ რამდენჯერმე დაემუქრნენ საბრძოლო მოქმედებების გავრცელებით ლიბანზეც და ესეც მას შემდეგ ბეირუთში მომხდარი პირველი აფეთქება არ არის. „როიტერის“ ინფორმაციით, აფეთქებაზე პასუხისმგებლობა აქამდე უცნობმა ტერორისტულმა ორგანიზაციამ „სარაიათ აიშა - უმ მუამინინმა“ აიღო. მეზობელი სირიის ომში მონაწილეობამ შეიძლება, ისევ დაარღვიოს ლიბანში მყიფე მშვიდობა, რომელიც ძლივს დამყარდა 20 წლის წინ, სამოქალაქო ომის შემდეგ. ლიბანიც, სირიის მსგავსად, სუნიტებად და შიიტებად არის გაყოფილი, თუმცა უფრო „თანაბრად“ და იქ მეტია ქრისტიანიც, როგორც არაბები, ისე სომხები.

თეთრ სახლზე მზის ბატარეებს აყენებენ

ვაშინგტონში აშშ-ს პრეზიდენტის რეზიდენციის სახურავზე მზის ბატარეების დაყენება დაიწყეს, რომლებიც პრეზიდენტის ოჯახის საცხოვრებელ აპარტამენტებს ელექტროენერგიით მოამარაგებს. იქვე დაიდგმება მეორე დანადგარიც, შენობის ცხელი წყლით უზრუნველსაყოფად. პრეზიდენტის ადმინისტრაციაში უსაფრთხოების მიზნით ზუსტად არ უთქვამთ, თეთრ სახლში ენერგიის რა ნაწილი იქნება დამოკიდებული მზის ბატარეებზე. სავარაუდოდ, ტრადიციულ ენერგომომარაგებას უფრო აქტიურად გამოიყენებენ მოღრუბლულ ამინდში, რაც ვაშინგტონში იშვიათი არ არის. პირველად მზის ბატარეები თეთრ სახლზე პრეზიდენტ ჯიმი კარტერის დროს დაყენეს, მაგრამ ისინი რეიგანის მმართველობის მეორე ვადისას, 1986 წელს ჩატარებული რემონტის დროს მოხსნეს. ბოლო წლებში მზის ბატარეები აშშ-ს ფედერალური სამინისტროებისა და უწყებების რამდენიმე შენობის თავზე დაამონტაჟეს.

ჩინეთში ცნობილი დისიდენტის ლიუ სიაობოს ცოლისძმას ასამართლებენ

ჩინეთში სასამართლომ უარი თქვა, გადაესინჯა სასჯელი ლიუ ჰუეისთვის, რომელსაც თაღლითობისთვის 11 წელი მიუსაჯეს. ეს არის ცნობილი ჩინელი დისიდენტის, ნობელის პრემიის ლაურეატის ლიუ სიაობოს ცოლისძმა. თვით ლიუ სიაობოც თერთმეტწლიან სასჯელს იხდის „ძირგამომთხრელი საქმიანობისთვის“. ლიუ ჰუეის ნათესავები მის საქმეს პოლიტიკურად მოტივირებულს უწოდებენ. დიპლომატები და ჟურნალისტები სასამართლოს სხდომაზე არ შეუშვეს. ევროკავშირის წარმომადგენელმა, რომელიც ასევე ვერ მოხვდა პროცესზე, განაცხადა, რომ ყურადღებით აკვირდება ლიუს საქმეს. ის ასევე მოუწოდებს ჩინეთის ხელისუფლებას, ლიუ სიაობო გაათავისუფლონ და მის მეუღლეს შინაპატიმრობა მოუხსნან.

აშშ-ში მამლების არალეგალური ბრძოლის ორგანიზატორები დააკავეს

ორეგონის შტატის ხელისუფლების ცნობით, დაკავებულია ადამიანთა ჯგუფი, რომლებსაც ბრალად ედებათ მამლების არალეგალური ბრძოლების ორგანიზება. მთავარ ეჭვმიტანილებად მიიჩნევიან ირინა უოკერი და მისი მეუღლე ჯონ უესლი უოკერი, რომელიც ადრე 5 წლის განმავლობაში ადგილობრივი შერიფის მოადგილე იყო. ისინი ეჭვმიტანილები არიან იმაში, რომ საკუთარ რანჩოზე ბრძოლებს აწყობდნენ და ფსონებსაც იღებდნენ. პოლიციას მიაჩნია, რომ განვლილი ერთი წლის განმავლობაში უოკერების რანჩოზე 10 ბრძოლა ჩატარდა და ამ ღონისძიებებს ოჯახისთვის დღეში 2000 დოლარამდე მოჰქონდა. მაყურებლებისგან შოუზე დასწრების საფასურს იღებდნენ, აგრეთვე ბრძოლების დროს სასმელებს და საკვებს ყიდდნენ. უოკერების წყვილი და კიდევ რამდენიმე ადამიანი სასამართლოს წინაშე გუშინ წარდგა. ეს ყველაფერი ჩვეულებრივი კრიმინალური ქრონიკის დონეზე დარჩებოდა, რომ არა ერთი საინტერესო დეტალი: ირინა უოკერი, ადგილობრივი გაზეთის ცნობით, რუმინეთის უკანასკნელი მეფის ქალიშვილია, რომელიც იძულებული იყო, 1947 წელს სამშობლო დაეტოვებინა.

მოამზადა ივა შილაკაძემ

ამურისპირეთი წყალდიდობის პიკის მოლოდინში

პირველი გვერდიდან

საშიში რაიონებიდან, ფაქტობრივად, უკვე გაიყვანეს ბავშვები და ფეხმძიმე ქალები. მალე შეიძლება, მოსახლეობის ის ნაწილიც გაიყვანონ, რომელმაც თავიდან საცხოვრებელი სახლების დატოვებაზე უარი თქვა.

უკვე ნაწილობრივ დატბორილია კუნძული ბოლშოი უსურიისკი ამურზე. ის წყალმა შეიძლება, მთლიანადაც დაფაროს. თვით ხაბაროვსკის მოსახლეობაში პანიკა არ შეიმჩნევა და ადამიანები მაღაზიებში მასობრივად არ ყიდულობენ ბურღულეულს და სასმელ წყალს. თუმცა ქალაქში ახალ, დროებით დამბებს აგებენ და ძველებს ამაგრებენ. დამბები კრიტიკულ 7 მეტრზეა გათვლილი. დატბორვა რეალურად ორ ბულვარს ემუქრება, რომლებიც, ფაქტობრივად, მდინარის დონეზეა. თუ წყალი ამ კრიტიკულ ზღვარს ასცდება, ის ხაბაროვსკში უკვე საცხოვრებელ სახლებსაც დაემუქრება. ამ ქალაქში ძლიერი წყალდიდობები 1914 და 1928 წლებში დაფიქსირდა, მაშინ მდინარეში წყლის სიმაღლე 8,5 მეტრი იყო.

წყალდიდობის პიკის მოლოდინში შორეულ აღმოსავლეთში სტიქიასთან საბრძოლველად მოსკოვიდან სამთავრობო დელეგაცია გაემგზავრა საგანგებო სიტუაციების მინისტრ ვლადიმირ პუჩკოვის ხელმძღვანელობით. მასთან ერთად არიან ენერგეტიკისა და ჯანდაცვის მინისტრები, დაიწყო მოსახლეობის სასწრაფო ვაქცინაცია. სტიქიის ზონაში გადაისროლეს პურის სამი საველე ქარხანა და მოამზადეს საევაკუაციო პუნქტები 22 ათასი ადამიანისთვის.

მთავარია ბურეისკის და ზეის წყალსაცავებიდან წყლის სწორი გამოშვება, რათა კაშხლებმა წყლის დაწოლას გაუძლოს. თუ ნალექის გამო წყლის დონე სწრაფად მოიმატებს, საჭირო გახდება წყლის უფრო სწრაფად გამოშვება, ამის შესახებ გუშინ ჟურნალისტებთან მინისტრმა პუჩკოვმა ისაუბრა. მაშინ კი დატბორვა კიდევ რამდენიმე ათეულ დასახლებულ პუნქტს არ ასცდება. პუჩკოვის თქმით, სამთავრობო კომისიები წყალსაცავებზე იმდენხანს იმუშავებენ, რამდენიც საჭირო იქნება.

ცხადია, წყალდიდობა ყოველ წელს არ ხდება და ჰიდროელექტოსადგურებში წყლის მარაგიც საჭიროა, მაგრამ მოსახლეობა შემთხვევას მაინც არ უშვებს და ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილებას გამოხატავს. ისინი ამბობენ, რომ მაისიდან, მთელი ზაფხულის განმავლობაში, წყალსაცავებიდან წყალი ნელ-ნელა რომ გამოეშვათ, ასეთი საშიშროება არ შეიქმნებოდა. ახლა წყალს დიდი რაოდენობით უშვებენ და ამას ამდენი ხალხის ქონება ეწირება. ჯერ, საბედნიეროდ, მსხვერპლის შესახებ ინფორმაცია არ არის.

გაერო და აფრიკის კავშირი ეგვიპტეს ძალადობის შეწყვეტისკენ მოუწოდებენ

პირველი გვერდიდან

ოთხშაბათს დაღუპულთა შესახებ ახალ-ახალი მონაცემები ვრცელდება და დაპირისპირება კვლავ მოსალოდნელია. უკვე ისლამისტებიც ძალის გამოყენებით ბრძოლაზე ალაპარაკდნენ, რაც ოპტიმიზმის საფუძველს ნაკლებად იძლევა.

გაეროს უშიშროების საბჭო ბრიტანეთის, საფრანგეთის, ავსტრალიისა და თურქეთის ინიციატივით შეიკრიბა. მანამდე ყველა ეს სახელმწიფო დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალის გამოყენების მკვეთრი კრიტიკით გამოვიდა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა თურქეთი, რომლის მმართველი ძალაც „მუსლიმან ძმებს“ სულიერად ენათესავება და სამხედროებთან დამოკიდებულება თავის ქვეყანაშიც ვერ აქვს იდეალურად. თურქეთმა გუშინ ეგვიპტიდან ელჩიც გაიწვია. უშიშროების საბჭოს სხდომა დახურული იყო. შემდეგ გაკეთდა განცხადება, რომელშიც დაგმეს ეგვიპტეში მომხდარი ძალადობა. სხდომას და განცხადებას სიმბოლური ხასიათი აქვს, ის მხოლოდ ეგვიპტის მოვლენების მიმართ მსოფლიო თანამეგობრობის ერთსულოვნების საჩვენებლად ჩატარდა. შესაბამისი განცხადება გააკეთა სხდომის თავმჯდომარემ, არგენტინის წარმომადგენელმა გაეროში მარია კრისტინა პერესევალმა. ეგვიპტეში ძალადობის აფეთქება გაეროს გენერალურმა მდივანმა ბან კი მუნმაც დაგმო. მან განაცხადა, რომ „ეს არ არის პასუხი იმ გამოწვევებზე, რომლებსაც ეგვიპტე შეეჩეხა.“ გაეროს უმაღლესმა კომისარმა ადამიანის უფლებათა საკითხებში ნავი პილაიმ ეგვიპტეში მიმდინარე მოვლენების დამოუკიდებელი გამოძიების მოწოდება გააკეთა. „დაღუპულთა და დაჭრილთა რაოდენობა, თუნდაც ხელისუფლების მიერ გამოცხადებული მონაცემებით, მიუთითებს დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალის ზღვარგადასულ, უფრო მეტიც, ექსტრემალურ გამოყენებაზე.“

მანამდე აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ეგვიპტეში ძალადობა დაგმო და გამოაცხადა, რომ გაუქმებულია ერთობლივი მანევრები ეგვიპტის არმიასთან „Bright Star“-ი, რომელიც ტრადიციულად ორ წელიწადში ერთხელ ტარდება. თუმცა ერთობლივი მანევრები 2011 წელსაც გაუქმდა არაბული გაზაფხულის მოვლენების გამო. მთელი მსოფლიო ელოდა ამერიკის გადაწყვეტილებას ეგვიპტისთვის ყოველწლიური ფინანსური დახმარების შესახებ 1,3 მილიარდი დოლარის ოდენობით. ობამას გამოსვლის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ეს დახმარება ჯერჯერობით შენარჩუნებულია. აშშ-ს პრეზიდენტის სიტყვებით, ეგვიპტის ხელისუფლებამ „საშიში კურსი აირჩია“ და ამ ქვეყანასთან თანამშრომლობა ძველ რეჟიმში ვერ გაგრძელდება, სანამ იქ ქუჩებში მშვიდობან მოქალაქეებს ხოცავენ. ამ თემას შეეხო აშშ-ს თავდაცვის მინისტრი ჩაკ ჰეიგელიც. მისი სიტყვებით, „აშშ ეგვიპტესთან სამხედრო კავშირს ინარჩუნებს, მაგრამ ძალადობა საფრთხეს უქმნის სამხედრო სფეროში ჩვენი გრძელვადიანი თანამშრომლობის მნიშვნელოვან ელემენტებს.“ გუშინწინ საფრანგეთის პრეზიდენტმაც საკუთარ რეზიდენციაში ოფიციალურად დაიბარა ეგვიპტის ელჩი და განუცხადა რომ „სამოქალაქო ომის თავიდან ასაცილებლად ყველაფერი უნდა გაკეთდეს.“

აფრიკის კავშირის მიერ გავრცელებულ განცხადებაში დაგმობილია ძალადობის აქტები, რომლებმაც მრავალრიცხოვანი მსხვერპლი გამოიწვია. კონტინენტის სახელმწიფოები ყველა მხარეს, მათ შორის დროებით ხელისუფლებას, თავშეკავებისკენ მოუწოდებენ. ამ განცხადებაში გამოთქმულია იმედი, რომ „ეგვიპტელ ხალხს, აფრიკის კონტინენტის დახმარებით, არსებული პრობლემების მოგვარება შეუძლია და ამისთვის ძალები საკუთარი ისტორიიდან და სულიერებიდან უნდა მოიძიოს.“ იქვე გამოთქმულია შეშფოთებაც, რომ „თუ სიტუაციის მოგვარების საქმეში სწრაფი პროგრესი არ იქნება, ეს მთელს რეგიონზე ცუდად აისახება...“

ეგვიპტეში კი კვლავ საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული და 14 რეგიონში კომენდანტის საათიც მოქმედებს. მსხვერპლმა, მხოლოდ ოთხშაბათს და მხოლოდ ოფიციალური მონაცემებით, უკვე 600 ადამიანს გადააჭარბა, დაჭრილების რაოდენობამ კი - 4 ათასს. „მუსლიმანი ძმების“ მონაცემებით, ასევე მხოლოდ ოთხშაბათს მსხვერპლი დაახლოებით 2600 კაცი იყო.

გუშინ, საღამოს, ექს-პრეზიდენტის მომხრეები „განრისხებული მილიონების მარშს“ გეგმავდნენ. პარასკევის ლოცვების შემდეგ კაიროს ყველა მეჩეთიდან ხალხი ცენტრისკენ უნდა დაძრულიყო და რამზესის მოედანზე მოეყარა თავი. პოლიციამ თავდასაცავად საბრძოლო ვაზნების გამოყენების უფლება მიიღო. ისლამისტები, რომლებიც აქამდე სიტყვიერად მაინც (საქმით ნამდვილად არა) მხოლოდ არაძალადობრივ ბრძოლის მეთოდებზე საუბრობდნენ, გუშინ უკვე ემოციების ფონზე ვეღარ იძლეოდნენ ნერვების მოთოკვის გარანტიას.

ხალხის უმრავლესობა ეგვიპტეში არც სამხედროებს ამართლებს, მაგრამ „მუსლიმანი ძმების“ რადიკალიზმითაც აღშფოთებულია. ქვეყანაში ისლამისტების მომხრეთა რაოდენობამ ძალიან სწრაფი ტემპით დაიწყო შემცირება.

P.S. ბოლო მონაცემებით, ისლამისტების მარშებს გუშინაც მოჰყვა პოლიციასთან შეტაკებები და მსხვერპლი. 13 ადამიანია დაღუპული კაიროს ცენტრში, რამზესის მოედანზე, 25 კი - ეგვიპტის სხვა ქალაქებში.

„მოჩვენებების“ პარტიზანული ბრძოლა

ია ვეკუა

მაისში, როდესაც „მაიკროსოფტმა“ ახალი Xbox One-ის პრეზენტაცია გამართა და სცენა საკმაოდ შერცხვენილმა დატოვა, პრეზენტაციის დამსწრეთა სტვენაში ძაღლის ყეფაც ისმოდა. თუმცა სინამდვილეში ასე არ ყოფილა. არა, შერცხვენა და სტვენა ნამდვილად იყო, თუმცა ძაღლი მხოლოდ ეკრანზე გამოჩნდა. მომდევნო დღეებში ინტერნეტსივრცეში ამ უწყინარ ცხოველზე არა ერთხელ იხუმრეს, მაგალითად, როგორც წყალწაღებული „მაიკროსოფტის“ გადამრჩენელის თემაზე, რადგან პრეზენტაციის დღეს ეს სიმპატიური გერმანული ნაგაზი იმაზე მეტჯერ გამოჩნდა ეკრანზე, ვიდრე გეიმერთათვის ახალ კონსოლთან დაკავშირებული საინტერესო დეტალები. ნაგაზს კი რაილი ჰქვია, ციფრულია და Call of Duty: Ghosts-ის ერთ-ერთი პერსონაჟია.

წელს CoD-ის ფრენჩაიზი იუბილარია - Ghosts ძირითად თამაშებში მეათეა (არ ითვლება დამატებები) და ათი წელი გავიდა პირველი თამაშის გამოსვლიდანაც. როგორც უკანასკნელი დეკადის განმავლობაში ხდებოდა, წელსაც ახალი თამაში შემოდგომაზე, კერძოდ ნოემბერში გამოვა და, სავარაუდოდ, ასე მოხდება მომავალ წელსაც, რადგან CoD შემქმნელებისთვის მუდმივი შემოსავლის წყაროა, გეიმერებისთვის კი სათამაშო ოაზისი. ეს ფაქტია - როდესაც საუბარია შუტერზე, ნებისმიერი გეიმერი Half-Life-ის, Doom-ის, Bioshock-ისა თუ Halo-ს გვერდით აუცილებლად დაასახელებს CoD-ის რომელიმე სერიას თუ მთელ ფრენჩაიზს არა.

სწორედ ამ ნიშნულის შენარჩუნება და გაუმჯობესება გახლავთ სერიის ყოველი ახალი თამაშის მთავარი მისია, მეორე მისია კი სათამაშო ბიზნესში ნოვაციების შემოტანა და დანერგვაა. ამ მხრივ ახალ CoD-ს, წესით, ნაკლი არ უნდა გააჩნდეს, რაშიც მხოლოდ 5 ნოემბრის შემდეგ დავრწმუნდებით, მანამდე კი მის შესახებ ინფორმაციას გავეცნოთ.

გამომცემელმა Activision-მა ახალი თამაში ოფიციალურად მიმდინარე წლის თებერვალში დააანონსა, თუმცა ეს საჭიროც არ იყო, თუ გავიხსენებთ, რომ ყოველი წლის ნოემბერი სწორედ CoD-ის სახელს ატარებს. თავიდან ცნობილი იყო, რომ ახალი თამაში შესანიშნავი Modern Warfare-ს მორიგი ნაწილი იქნებოდა, თუმცა მალევე დადასტურდა, რომ სტუდია ფრენჩაიზის ახალ სერიაზე მუშაობდა. 1 მაისს თამაშის ოფიციალური საიტი გაიხსნა და იმავე დღეს გამოვიდა თიზერიც, სადაც ოფიციალურად დადასტურდა, რომ თამაშს მომხმარებლები 5 ნოემბერს მიიღებდნენ. ამას მოჰყვა „მაიკროსოფტის“ მიერ ჩატარებული ის ავადსახსენებელი პრეზენტაციაც, სადაც ვიხილეთ არა მხოლოდ თამაშის ქოვერის მთავარი გამოსახულება, არამედ გერმანული ნაგაზი რაილიც. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ Call of Duty: Ghosts მხოლოდ Xbox One-ისთვისაა განკუთვნილი - მას ასევე მიიღებენ პერსონალურ კომპიუტერის, PS3-ის, Xbox 360-ის, PS4-ისა და Wii U-ს მომხმარებლები ანუ როგორც ძველი (ანუ ამჟამად მოქმედი), ისე ახალი თაობის კონსოლების მფლობელებიც. დადასტურებულია ისიც, რომ თამაში ახალი თაობის კონსოლებისთვის განკუთვნილ ძრავაზეა მორგებული.

როგორც ყველა ღირსეულ თამაშს, Call of Duty: Ghosts-საც სრულყოფილი სცენარი გააჩნია (ავტორი სტივენ გეჰენი), რომელსაც თამაშის შემქნელი სტუდია Infinity Ward-ის სპეციალისტებიც ეხმარებოდნენ, რათა სიუჟეტი, რაც შეიძლება, გეიმერული ყოფილიყო. თამაშში მოქმედება 2023 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში მომხდარი საშინელი აპოკალიფსიდან 10 წლის შემდეგ ხდება: ანონიმური ჰაკერი კოსმოსური სადგურის დამცავ კოდებს გატეხავს, რის შედეგადაც ამერიკის უდიდესი ქალაქები სასტიკად დაიბომბება. ქვეყანა ქაოსშია, მაგრამ ხსნის იმედი მაინც არსებობს - ეს პარტიზანების ელიტარული სამხედრო შენაერთი „მოჩვენებებია“ (Ghosts), რომლის წევრი ძმები ჰერშები თამაშის პროტაგონისტები არიან. ამ დროისთვის ცნობილია, რომ შესაძლებელი იქნება ორივე ძმა ჰერშის სახით თამაში, ასევე სათამაშო პერსონაჟებია ბუთი და უკვე რამდენჯერმე ნახსენები ძაღლი რაილი. ეს უკანასკნელი Call of Duty-ს ფრენჩაიზისთვის ნამდვილად სიახლეა და, ზოგადადაც, იშვიათია თამაში, სადაც ცხოველის მართვაა შესაძლებელი. რაილი შენაერთ „მოჩვენებების“ სრულუფლებიანი წევრია, ძირითადად მთავარი გმირების დამხმარე რგოლია და მუდამ მზადაა, პროტაგონისტის ბრძანებები შეასრულოს.

რამდენიმე დღის წინ ხნობილი გახდა სიახლეები თამაშის მულტიპლეერის შესახებ, მაგალითად, ის, რომ შემოვა ქალი პერსონაჟი. ასევე დაემატა რეჟიმი Cranked, როდესაც მოწინააღმდეგის მოკვლის შემდეგ დროის უკუთვლა იწყება, პერსონაჟი აჩქარებული ტემპით მოძრაობს და თუ ამ დროის განმავლობაში კიდევ არ მოკლავს ვინმეს, ფეთქდება. Search and Rescue კი თანამებრძოლის გაცოცხლების საშუალებას იძლევა და სხვა. გარდა ამისა, მოთამაშეს შეულძლია საკუთარი გუნდი შექმნას (მაქსიმუმ 10 პერსონაჟი), დაშვებული იქნება მოწინააღმდეგე გუნდების შექმნაც, რომლებსაც ორი ძირითადი მოთამაშე უხელმძღვანელებს (Squad vs Squad) და ხელოვნური ინტელექტის მიერ მართულ გუნდთან ბრძოლაც (Wargame). და არ დაგავიწყდეთ, რომ ძაღლი პერსონაჟი მულტიპლეიერის რეჟიმსაც ეყოლება - ძაღლი ხომ 10 წლის შემდეგ მებრძოლი ადამიანის მეგობარიცაა...

სპორტი

მწვანე ქალაქი და დემიენი

ზურა თალაკვაძე



მისტერ ლილარდი

ორეგონში ორი კარგი მოთამაშეა. ლამარკუს ოლდრიჯი (21.0+8.9 მოხსნა) ძველი თემაა. ძველი ბიჭი კარგი სროლით, რბილი აგრესიით და დაღლილი ინიციატივით. ლამარკუსი კლასია და თავის კლასში სულ ხუთოსანი იყო. როგორც ის ნიგერიელი, ჰაკიმი. ოლდრიჯთან ერთად „პორტლენდი“ თითქმის ნორმალური გუნდია. თუ ნიკოლა ბატუმი (14.3+5.6 მოხსნა+4.9 პასი) არ იცელქებს და ჯეი ჯეი ჰიქსონი (12.9+10.4 მოხსნა) შაკის კონტრაქტს არ მოითხოვს. ჰიქსონი არ არის შაკი. ჯეი ჯეი ჰიქსონია. და „პორტლენდში“ პატარა მასტია. ცოტა ინგლისური ბულდოგი. ცოტა ფრანგული ბულდოგი. ცოტა ბლადჰაუნდი და ცოტა - კალათბურთელი. ამ მიქსტით გამოდის ბიჭი, რომელმაც პირველ სეზონში სანდოდ ითამაშა. „პორტლენდი“ ნდობას ეძებდა და ეს ნდობა დრაფტიდან წამოიღო. ნდობა არის დამიან ლილარდი. კარგი ბიჭი. და ბიჭი უკეთესი იქნება.

ლილარდი ამ სეზონის საუკეთესო პირველწლიანი იქნება. არის. ლილარდი ლიგაში გამოცდილებით მივიდა. პატარა კეისით. როგორც უოლტონი. და იმ კეისში ტიმ ჰარდეევეის დრიბლინგი, რეი ალენის სნაიპერული სტამინა, ბრიუს ბოუენის მუხლები მონახა. და ეს დოზა მიიღო. და წამოიღო. და პირველწლიანი ლილარდი შეიცვალა. 23 წლის ბიჭი იგებს. და არ ფარავს, არ უშლის ხელს გუნდს. ლილარდი ხედავს ოლდრიჯის კლასს და იცის, რომ მეგობარს პასი არ უნდა დაუგვიანოს. ლილარდი ხედავს მონდომებულ ჰიქსონს და იცის, რომ ბურთი სამწამიანში უნდა ჩაუშვას. ცოტა აქეთ, ცოტა ზემოთ ჰიქსონი ბურთს არ უყურებს. ლილარდმა ეს დაიმახსოვრა. ლილარდი ყველაფერს იმახსოვრებს. და ლილარდი ნიჭიერი მოსწავლეა. „პორტლენდში“ იყვნენ ტერი პორტერი და დეიმონ სტაუდმაიერი. პირველი კლაიდის ახლობლობით ქაჩავდა. სტაუდმაიერი პატარა იყო. ძალიან პატარა. 4-5 სანტიმეტრიც და დეიმონი დაისვენებდა, ისე არ დაიღლებოდა. და ლილარდს ყველაფერი აქვს. ლილარდი „პორტლენდის“ შანგრი ლა გახდა. შედიხართ და იცით, რომ თქვენი ყველა სურვილი ასრულდება. ლილარდი „პორტლენდის“ სანტა კლაუსი და კარგი ბიჭია.

ნიუ იორკში შეეშალათ. ნიუ იორკში ვერ დაითვალეს. ნიუ იორკში ნიუ იორკი გადაიფარა. ნიუ იორკში სპაიკ ლი ახალი ქუჩური სცენარისთვის ემზადებოდა და მისტერ ლის ძველი სცენარი აქვს გადასაწერი. იმ სცენარში კარმელო ენტონი „ბოსტონს“ უგებს. მშვიდად უგებს. ენტონი იგებდა კლასით და ენტონი არ აგებდა ქარიზმით. ენტონი იგებდა გამოცდილებით და ენტონი არ აგებდა გამოცდილებით. ენტონი იყო „ნიქსის“ ყვავის ტუზი და ენტონი „ბოსტონის“ ჯოკერმა ვერ გადაჯოკრა. ენტონი იგებდა და ლიმ ენტონის როლზე ენტონის დაუძახა. თან კუშს დაზოგავს და თან, კარმელო საკუთარ როლში სხვაზე უკეთ შევა. და დარჩება. ნიუ იორკი ბედნიერი იყო და ბებერი მეძავი, გამოუძინებელი ნიუ იორკი ძილისთვის ემზადებოდა.

ნიუ იორკმა შეუკვეთა ორი გოგო, ერთი ჯეკი, ენის ქვეშ ჩასაგდები სითბო და ნიუ იორკმა ვერ დათვალა. ნიუ იორკს არ გაახსენდა, რომ სერიაში „ბოსტონს“ ელაპარაკებოდა და „ბოსტონმა“ ეს შეახსენა. ნიუ იორკმა 3:0 აკრიფა და „ბოსტონი“ დაბრუნდა. „ბოსტონი“ ვან ჰელსინგია. თითო არ-ბალეტი სულ აქვს მოტეხილი. კლასიკა.

„სელტიქსი“ ასაკშია, „სელტიქსი“ იღლება და „სელტიქსით“ „სელტიქსის“ გულშემატკივრები იღლებიან. და „სელტიქსი“ კლასია. ნიუ იორკს ეს დაავიწყდა. „ნიქსს“ ეს პოლ პირსმა შეახსენა. და კევინ გარნეტმა. და დოკ რივერსმა. და ჯეფ გრინმა. და ისტორიამ. იმ ისტორიაში „ბოსტონი“ არ აგებს. ან აგებს და მაინც იგებს. ეს „სელტიქსია“. კლასიკა.

ნიუ იორკმა ჩამოყარა ვარიანტები და შემდეგი სერიისთვის „ჩიკაგო“ შეუკვეთა. მენიუში „ბრუკლინიც“ იყო და „ბრუკლინი“ ძვირი ღირდა. „ჩიკაგოში“ ნაკლებს გადაიხდი, დერიკ როუზი არ იქნება და „ნიქსი“ კარმელოს ფიქსატორით მოაგვარებს პრობლემებს. კარმელოც ფიქსატორია და ენტონის ეს სეზონი ყველაზე გემრიელი ბეზე იყო. ნიუ იორკმა დაიჯერა, რომ 3:0 შემდეგი რაუნდის ვიზაა. და „ბოსტონი“ დაბრუნდა. პოლ პირსი, კევინ გარნეტის, ძველი და კარგი ბიჭების გუნდი. ნიუ იორკს ეს არ ახსოვდა. ნიუ იორკს ეს შეახსენეს. და ნიუ იორკი დაიძაბა. ნიუ იორკი „სელტიქსის“ ისტორიამ და „სელტიქსის“ ქარიზმამ, პირსის მაჯამ, გარნეტის თვალებმა და გრინის მუხლებმა დაძაბა. „ბოსტონი“ ისტორიაა და თუ „ნიქსი“ აზრზე ვერ მოვა, ისტორიაში ცუდად შევა. როგორც შედიან ხოლმე არასერიოზული ბანდები. ნიუ იორკმა და კარმელომ უნდა დაისვენონ. და დაიწყება კიდევ ერთი ტესტი.

ორეგონში ორი კარგი მოთამაშეა. ლამარკუს ოლდრიჯი (21.0+8.9 მოხსნა) ძველი თემაა. ძველი ბიჭი კარგი სროლით, რბილი აგრესიით და დაღლილი ინიციატივით. ლამარკუსი კლასია და თავის კლასში სულ ხუთოსანი იყო. როგორც ის ნიგერიელი, ჰაკიმი. ოლდრიჯთან ერთად „პორტლენდი“ თითქმის ნორმალური გუნდია. თუ ნიკოლა ბატუმი (14.3+5.6 მოხსნა+4.9 პასი) არ იცელქებს და ჯეი ჯეი ჰიქსონი (12.9+10.4 მოხსნა) შაკის კონტრაქტს არ მოითხოვს. ჰიქსონი არ არის შაკი. ჯეი ჯეი ჰიქსონია. და „პორტლენდში“ პატარა მასტია. ცოტა ინგლისური ბულდოგი. ცოტა ფრანგული ბულდოგი. ცოტა ბლადჰაუნდი და ცოტა - კალათბურთელი. ამ მიქსტით გამოდის ბიჭი, რომელმაც პირველ სეზონში სანდოდ ითამაშა. „პორტლენდი“ ნდობას ეძებდა და ეს ნდობა დრაფტიდან წამოიღო. ნდობა არის დამიან ლილარდი. კარგი ბიჭი. და ბიჭი უკეთესი იქნება.

პირსი და გარნეტი უკვე ისტორიაა. პირსი და გარნეტი წავიდნენ და ბოსტონი შეიცვალა. ახალი ისტორია იწერება.

ამინდი

აბასთუმანი	-2°C	-9°C
ბათუმი	12°C	8°C
ზუგდიდი	8°C	4°C
თბილისი	12°C	2°C
ქუთაისი	9°C	5°C
სამტრედია	8°C	5°C
გორი	9°C	-4°C
სენაკი	9°C	6°C
წინანდალი	11°C	1°C
გონიო	12°C	7°C
მანგლისი	5°C	-5°C
გუდაური	-3°C	-16°C
მესტია	2°C	-11°C
ბოლნისი	11°C	-2°C
ლაგოდეხი	11°C	-2°C
ბაკურიანი	-3°C	-10°C
ბორჯომი	6°C	-3°C
საჩხერე	8°C	1°C
მცხეთა	11°C	-1°C
სოხუმი	10°C	6°C
ურეკი	9°C	7°C
ხაშური	7°C	-2°C
ზესტაფონი	9°C	2°C
ფოთი	9°C	7°C
ცხინვალი	6°C	-4°C
შატილი	-3°C	-8°C
რუსთავი	13°C	1°C
თელავი	11°C	1°C
კასპი	10°C	-2°C
გურჯაანი	10°C	-1°C
სიღნაღი	10°C	0°C
მარნეული	11°C	-2°C
წყნეთი	10°C	-2°C
სიონი	3°C	-7°C
სურამი	7°C	-2°C
თიანეთი	8°C	-3°C
ხარაგაული	9°C	1°C
ჭიათურა	7°C	-1°C
ხობი	9°C	6°C
ლანჩხუთი	10°C	6°C
ჩოხატაური	9°C	4°C
ოზურგეთი	10°C	4°C
ქობულეთი	12°C	8°C
ონი	6°C	-4°C
ამბროლაური	4°C	-4°C
ომალო	0°C	-6°C
ახალციხე	5°C	-3°C
უშგული	-5°C	-14°C
დავით-გარეჯი	9°C	0°C
ათენი	13°C	11°C
ანტალია	15°C	8°C
ბაქო	9°C	3°C
ბუდაპეშტი	2°C	-2°C
ერევანი	7°C	-1°C
ვენა	-1°C	-4°C
კიევი	1°C	-3°C
თელ-ავივი	22°C	14°C
ლონდონი	3°C	-3°C
მოსკოვი	-8°C	-15°C
მიუნხენი	-2°C	-7°C
ნიუ-იორკი	1°C	-3°C
პრაღა	-3°C	-8°C
სტამბული	11°C	8°C
პარიზი	3°C	-4°C
რომი	13°C	5°C
ბერლინი	-2°C	-7°C
პეკინი	7°C	-2°C
ტოკიო	7°C	2°C
დელი	23°C	12°C
მინსკი	-5°C	-8°C
ტალინი	-4°C	-7°C
ასტანა	-10°C	-16°C
ბიშკეკი	9°C	-3°C
დუბაი	25°C	18°C
დუშანბე	16°C	6°C
ვილნიუსი	-5°C	-11°C
იოჰანესბურგი	-3°C	-8°C
იოჰანესბურგი	-1°C	-9°C
კაირო	26°C	16°C
კიშინიოვი	6°C	-1°C
კოპენჰაგენი	0°C	-5°C
ოსლო	-2°C	-8°C
რეიკიავიკი	8°C	6°C
რიგა	-6°C	-12°C
სტოკჰოლმი	-3°C	-8°C
ტაშკენტი	9°C	1°C
ჰელსინკი	-2°C	-6°C
ბარსელონა	16°C	9°C
ბუქარესტი	8°C	2°C
ვარშავა	-1°C	-5°C
ლისაბონი	17°C	11°C
მადრიდი	13°C	6°C
ნეაპოლი	14°C	6°C
სოფია	9°C	1°C
სტრასბურგი	-4°C	-7°C
ჰამბურგი	-3°C	-5°C
ფრანკფურტი	-3°C	-9°C

ვალუტის კურსი

AED	10	არაბეთის საამიროების დირჰამი	4.5105
AMD	1000	სომხური დრამი	4.0407
AUD	1	ავსტრალიური დოლარი	1.5310
AZN	1	აზერბაიჯანული მანათი	2.1119
BGN	1	ბულგარული ლევი	1.1152
BRL	1	ბრაზილიური რიალი	0.7422
BYR	10000	ბელორუსული რუბლი	1.8719
CAD	1	კანადური დოლარი	1.6023
CHF	1	შვეიცარიული ფრანკი	1.7642
CNY	10	ჩინური იუანი	2.6994
CZK	10	ჩეხური კრონა	0.8392
DKK	10	დანიური კრონი	2.9261
EGP	10	ეგვიპტური გირვანქა	2.3661
EUR	1	ევრო	2.1822
GBP	1	ინგლისური გირვანქა	2.5419
HKD	10	ჰონკონგური დოლარი	2.1355
HUF	100	უნგრული ფორინტი	0.7394
ILS	10	ისრაელის შეკელი	4.6390
INR	100	ინდური რუპია	2.7732
IRR	10000	ირანული რიალი	0.6737
ISK	100	ისლანდიური კრონი	1.3732
JPY	100	იაპონური იენი	1.6576
KGS	100	ყირგიზული სომი	3.3810
KWD	1	ქუვეითური დინარი	5.8147
KZT	100	ყაზახური ტენგე	1.0825
LTL	10	ლიტვური ლიტი	6.3258
LVL	1	ლატვიური ლატი	3.1081
MDL	10	მოლდავური ლეი	1.2938
NOK	10	ნორვეგიული კრონი	2.7924
NZD	1	ახალზელანდიური დოლარი	1.3220
PLN	10	პოლონური ზლოტი	5.1682
RON	10	რუმინული ლეი	4.9390
RSD	100	სერბიული დინარი	1.9252
RUB	100	რუსული რუბლი	5.1271
SEK	10	შვედური კრონი	2.5539
SGD	1	სინგაპურული დოლარი	1.3090
TJS	10	ტაჯიკური სომონი	3.4743
TMT	10	თურქმენული მანათი	5.8126
TRY	1	თურქული ლირა	0.8651
UAH	10	უკრაინული გრივნა	2.0726
USD	1	აშშ დოლარი	1.6566
UZS	1000	უზბეკური სომი	0.7871
ZAR	10	სამხრეთაფრიკული რანდი	1.6846
KRW	1000	სამხრეთ კორეული ვონი	1.4831
QAR	10	ყატარული რიალი	4.5497

სასაქონლო ბირჟა

ნავთობი	3.20	+0.01	+0.28%
გაზი	3.57	-0.02	-0.53%
ოქრო	1,737.90	-6.80	-0.39%
ხორბალი	867.75	-0.75	-0.09%
S&P/TSX Composite Index	12,810.20	+123.58	+0.97%
Nasdaq Composite Index	3,213.59	+21.56	+0.68%
Dow Jones Industrial Average	14,035.70	+53.91	+0.39%

ნათელაშვილი არასაპარლამენტო პარტიებს თავისი კანდიდატურის მხარდაჭერისკენ მოუწოდებს

„ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი და პრეზიდენტობის კანდიდატი შალვა ნათელაშვილი არ იზიარებს «თავისუფალი საქართველოს“ ლიდერ კახა კუკავას წინადადებას, რომელიც არასაპარლამენტო პარტიების კანდიდატებს შორის პრაიმერიზის გამართვას ითვალისწინებს. როგორც ნათელაშვილი ამბობს, პრაიმერიზი ერთ პარტიაში ტარდება, როდესაც რამდენიმე გამორჩეული ლიდერია. **„მრავალ პარტიას შორის პრაიმერიზის ჩატარების პრეცედენტს ისტორია არ იცნობს,“** - შენიშნავს შალვა ნათელაშვილი. ამასთან, ნათელაშვილის თქმით, პრაიმერიზში მონაწილეობის შემთხვევაში მისი რეიტინგი ეჭვქვეშ დადგება.

შალვა ნათელაშვილი არასაპარლამენტო პარტიებს მოუწოდებს, მხარი მის კანდიდატურას დაუჭირონ. ნათელაშვილს იმედი აქვს, რომ რეალური არჩევნების შემთხვევაში გამარჯვებას პირველივე ტურში მოიპოვებს.

ნათელაშვილმა იმ ნაბიჯების შესახებაც ისაუბრა, რომლებსაც გამარჯვების შემთხვევაში გეგმავს. **„ჩემი პრეზიდენტობის პირველი დღეები სისტემის ძირფესვიან ცვლილებას მოხმარდება,“** - ამბობს ნათელაშვილი. ის მინისტრების შესახებ სახალხო გამოკითხვის ჩატარების ინიციატივით გამოსვლას აპირებს. **„ვიცი, რომ ჩვენი მოსახლეობა ენერგეტიკის მინისტრად კახი კალაძეს და პრეზიდენტად მარგველაშვილს მხარს არ დაუჭერს, რადგანაც ამ ადამიანებს სხვადასხვა სისტემებში კერძო ინტერესი აქვთ. მარგველაშვილს კერძო უნივერსიტეტი აქვს და განათლების სისტემაში გადაწყვეტილებები მისი ინტერესებიდან გამომდინარე მიიღება,“** - აღნიშნა მან.

რაც შეეხება პარლამენტს, როგორც ნათელაშვილი აღნიშნავს, აუცილებელი იქნება, რომ ის ხალხმა რეფერენდუმის გზით მოიწონოს.

შალვა ნათელაშვილი პრეზიდენტობის დანარჩენ კანდიდატებს მესაფლავეთა კოჰორტის გაგრძელებად მიიჩნევს. **„არც ერთ მათგანს არჩევნებში გავლის შანსი არ აქვს,“** - ამბობს ნათელაშვილი. მისი შეფასებით, პოლიტიკაში წარმატების შანსი ასევე არა აქვს ცესკო-ს ყოფილ თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილს. **„ისტორიაში არსებობს ომები „უცნაური ომების“ სახელწოდებით. ზურაბ ხარატიშვილს შემიძლია, უცნაური კანდიდატი ვუწოდო. ჯერ რატომ მოვიდა ცესკო-ს თავმჯდომარედ, მერე რატომ გადადგა და ახლა რატომ გადაწყვიტა პოლიტიკაში მოსვლა? ეს ჩემთვის გაუგებარია. არა მგონია, მან ქართულ პოლიტიკაში ვარსკვლავები დაიკიდოს,“** - დასძენს ნათელაშვილი.

შალვა ნათელაშვილმა ბიზნესმენ ლევან ვასაძის შესახებაც ისაუბრა: **„ჩვენ კრემლიდან გამოგზავნილ ვასაძეებს ვერ მოვიწონებთ, რომლებსაც ჩოხა-ახალუხის იმედი აქვთ, რომ მთავრობას მოაჯდნენ.“** „ლეიბორისტების“ ლიდერმა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის საგარეო პოლიტიკის შესახებაც ისაუბრა. ნათელაშვილს მიაჩნია, რომ სააკაშვილის პოლიტიკა დასავლეთის დისკრედიტაცია იყო. ნათელაშვილის აზრით, ასევეა, რუსეთის მიმართ ივანიშვილის დღევანდელი პოლიტიკა. **„ხალხს არაფერი, ივანიშვილს ყველაფერი,“** - აღნიშნავს ნათელაშვილი.

საარჩევნო გარემოს შეფასებისას კი ნათელაშვილი უმრავლესობას პარლამენტის საგანგებო სესიაზე შეკრებისა და საარჩევნო კოდექსში ცვლილებების მიღებისკენ მოუწოდებს.

იგი საპრეზიდენტო არჩევნებზე საერთაშორისო დამკვირვებლების მოწვევას სკეპტიკურად აფასებს, რადგან მიიჩნევს, რომ დაავადებულ საარჩევნო სისტემას ვერავითარი დამკვირვებელი ვერ უშველის. **„სანამ არჩევნებზე წარმომადგენლები ერთ ძალას ეყოლება და სხვები კინკილად იქნებიან წარმოდგენილი, სანამ არჩევნებში მონაწილეობა ყველასთვის სავალდებულო არ იქნება, სიტემას არაფერი ეშველება,“** - მიიჩნევს ნათელაშვილი.

„ტრადიციონალისტთა“ კანდიდატი

გუშინ ცნობილი გახდა, რომ პრეზიდენტობის მსურველთა რაოდენობა ერთი კანდიდატით გაიზარდა. როგორც „ტრადიციონალისტთა კავშირის“ ლიდერმა აკაკი ასათიანმა ჟურნალისტებს უთხრა, მომავალ კვირას ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირებას ოფიციალურად გეგმავს. **„ვფიქრობ, იმ გამოცდილებიდან გამომდინარე, რომელიც წლების განმავლობაში მე და ჩემს თანამოაზრეებს დაგვიგროვდა, ვალდებულებაც კი გვაკისრია, რომ ამ საქმეში მონაწილეობა მივიღოთ,“** - ამბობს აკაკი ასათიანი. იგი სექტემბრიდან აქტიური საარჩევნო კამპანიის დაწყებას აპირებს.

ასათიანმა მედიას თავისი ხედვები გააცნო და აღნიშნა, რომ საქართველოსთვის ერთადერთი გამოსავალი ნეიტრალიტეტია. **„ნეიტრალიტეტი ჩვენს ქვეყანას საშუალებას მისცემს, ნებისმიერი მიმართულებით თავისუფალი არჩევანი გააკეთოს და თავისუფალი ურთიერთობა ჰქონდეს ნებისმიერ პარტნიორ ქვეყანასთან ან თუნდაც ისეთთან, რომელთანაც ამჟამად რთული მდგომარეობა გვაქვს,“** - ამბობს აკაკი ასათიანი.

საკუთარი ინფორმაცია

სკანვორდი



ტრიუმფით დასრულებული ტურნირი

თურქეთის ქალაქ ანტალიაში ლუკოილის ბავშვთა ჩემპიონთა თასის გათამაშება ტრიუმფით დაასრულა „დინამოს“ აკადემიის 2001 წელს დაბადებულთა გუნდმა. სულიკო დავითაშვილის შეგირდებმა მეოთხე მატჩი გამართეს ბაქოს „ინტერის“ წინააღმდეგ და მეტოქეს 5:0 სძლიეს - დინამოელებმა ტურნირი პირველ ადგილზე დაასრულეს. სექტემბერში ჩვენი გუნდი ბულგარეთში, ჩემპიონთა ლიგის ფინალურ სტადიაზე იასპარეზებს.

მოზარდმა დინამოელებმა დღევანდელი მატჩი ასეთი შემადგენლობით ჩაატარეს:

ხარშილაძე, კვარაცხელია, მექვაბიშვილი, ჭავჭანიძე, ბოგვერაძე, მაღალდაძე, დავითაშვილი, მოისწრაფიშვილი, გაგუა

შეცვლაზე შემოვიდნენ: აზაროვი, თვალოძე, ქაჯაია, ქველაძე, ლომთაძე, გოდერძიშვილი

ტურნირირს საუკეთესო ფეხბურთელად დინამოელი დავითაშვილი დასახელდა, საუკეთესო ნახევარმცველად კი მოისწრაფიშვილი აღიარეს.

ხარკოვის „მეტალისტი“, შესაძლოა, ევროთასებს დაუბრუნონ

შესაძლოა, ხარკოვის „მეტალისტს“ 2013-2014 წლების სეზონში ევროთასებზე ასპარეზობის უფლება მისცენ. უკრაინული ინტერნეტ-გამოცემის, Football.ua-ს ცნობით, შვეიცარიის სასამართლომ გარიგებულ მატჩებთან დაკავშირებული საქმე შეაჩერა.

საქმე ის არის, რომ უეფამ უკრაინული კლუბი, გარიგებულ მატჩში მონაწილეობის გამო, ჩემპიონთა ლიგის გათამაშებიდან მოკვეთა. თუ გუნდის ბრალეულობა დამტკიცდა, „მეტალისტის“ ადგილს ის გუნდი დაიკავებს, რომელიც ხარკოველებმა მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე დაამარცხეს. ეს კი ბერძნული პაოკ-ია.

აქამდე არსებული ინფორმაციით, ბერძნულ გუნდს ევროპის ლიგის ფლეი ოფში უნდა ეთამაშა. UEFA-ს გადაწყვეტილებით, ევროპის ლიგაზე გამოთავისუფლებული ერთი ადგილი არ შეივსება, რაც იმას ნიშნავს, რომ თელ ავივის „მაკაბი“ პირდაპირ ჯგუფურ ეტაპზე მოხვდა, ხოლო ჩემპიონთა ლიგის ფლეი ოფში პაოკ-ი „შალკეს“ დაუპირისპირდება.

„მეტალისტის“ იურისტები აპელაციას ამზადებენ.

16-წლამდელთა ნაკრებმა დანიას ვერ აჯობა და მე-5 ადგილისთვის იბრძოლებს

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა დანიასთან კარგად დაწყებული მატჩი ბოლომდე ვერ მიიყვანა. გია კაზანჯიანის გუნდს ნახევარფინალში გასასვლელად სკანდინავიელების 9 ქულით დამარცხება ესაჭიროებოდა, მაგრამ 62:74 წააგო და A დივიზიონში გადასვლისთვის ვეღარ იბრძოლებს.

ამ შეხვედრამდე მასპინძელმა ბოსნიამ ჩეხეთი დაამარცხა, რაც იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს ნაკრებს მეორე ჯგუფური ეტაპიდან ნახევარფინალში გასვლის შანსი მიეცა. როგორც ვთქვით, ქართველებს დანიელების 9 ქულით დამარცხება სჭირდებოდათ. მატჩიც ისე დაიწყო, გულშემატკივარს იმედი ჩაესახა. 11:3, 17:11 - ასეთი ანგარიშით იგებდნენ ქართველები, მაგრამ მერე ყველაფერი შეიცვალა. დანიელებმა 8:0 გარბენა მოაწყვეს და 19:17 დაწინაურდნენ.

პირველი მეოთხედი დანიელებმა 21:19 მოიგეს, მეორიდან კი თავიანთი უპირატესობის განმტკიცებას შეუდგნენ, რაშიც მათ ზუსტი სროლები ეხმარებოდათ. ფარზე ქართველები მეტოქეს ტოლს არ უდებდნენ და კარგა ხანს მოხსნებში ჯაბნიდნენ კიდეც. მეორე მეოთხედში სკანდინავიელებმა 18:11 გაიმარჯვეს და დიდი შესვენებისთვის 39:30 დაწინაურდნენ.

მესამე პერიოდში ჩრდილოელთა უპირატესობამ 20 ქულას მიაღწია და ქართველების ბედიც გაირკვა. კაზანჯიანის გუნდს 9 ქულით მოგება სჭირდებოდა, რაც უკვე წარმოუდგენელი გახდა.

18 ქულით მატჩის ბომბარდირი გახდა გიორგი ცირეკიძე, ვილი ისიანმა კი მორიგი ორმაგი დუბლი მიითვალა (15 ქულა, 12 მოხსნა) და ტურნირზე საუკეთესო მეფარეთა დავაში პირველი ადგილი შეინარჩუნა. რაც შეეხება დანიელებს, მათ უფრო გუნდურად ითამაშეს: ოთხმა კალათბურთელმა 10-ქულიან ზღვარს მიაღწია.

საქართველოს ნაკრები ახლა V-VIII ადგილებისთვის ბრძოლაში გადაერთვება. 17 აგვისტოს კაზანჯიანის გუნდი ინგლისს შეხვდება და თუ მოიგებს, ჩეხეთსა და მაკედონიას შორის გამარჯვებულს მე-5 ადგილისთვის დაუპირისპირდება. ინგლისელებთან წაგების შემთხვევაში, საქართველო ზემოთ ნახსენების წყვილის წაგებულთან მე-7 ადგილს გაითამაშებს.

ევროპის ჩემპიონატი. B დივიზიონი. ბოსნია. სარაევო. მეორე ეტაპი. 15 აგვისტო

საქართველო 62:74 დანია
19:21, 11:18, 13:20, 19:15
სრული სტატისტიკა: 62:74

F ჯგუფი, მეოთხედფინალური რაუნდი

1. ბოსნია-ჰერცეგოვინა	3	3/0	216/193	6
2. დანია	3	2/1	214/188	5
3. ჩეხეთი	3	1/2	165/189	4
4. საქართველო	3	0/3	176/201	3

gbf.ge

რაიან გიგზი დაძაბული სეზონის მოლოდინშია

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მოთამაშე-მწვრთნელი და დე ფაქტო კლუბის სიმბოლო რაიან გიგზი Inside United Magazine-თან საუბარში ახალ სეზონს აანალიზებს. დღეს სტარტს აიღებს პრემიერლიგა, სადაც „მანჩესტერ იუნაიტედს“ გასვლითი მატჩი ელის „სვონსისთან“.

- გარი ნევილის თქმით, ახალი სეზონი ყველაზე არაპროგნოზირებადი იქნება...

- ვეთანხმები, რომ დაძაბული სეზონი გულშემატკივრებისთვის საინტერესო იქნება. სერ ალექსი დიდხანს იყო ჩვენთან. კლუბში ცვლილებები განხორციელდა, ისევე როგორც ეს „სიტისა“ და „ჩელსის“ შემთხვევაშია. არავინ იცის, ახალ სეზონში მოვლენები როგორ განვითარდება. პრემიერლიგაში კარგი გუნდები არიან, „სიტის“ ჩემპიონობის დაბრუნება სურს, „ჩელსის“ ჟოზე მოურინიოს გამოცდილება უმაგრებს ზურგს, ჩვენ კი მოქმედი ჩემპიონები ვართ. არ უნდა დაგვავიწყდეს „არსენალი“, „ტოტენჰემი“ და „ლივერპული“, რომლებიც არაფრის დათმობას არ აპირებენ. ერთი სიტყვით, საინტერესო და დაძაბული სეზონი გველოდება.

- „იუნაიტედის“ ახალი დამრიგებელი როგორ შთაბეჭდილებას ტოვებს?

- მოიესმა მისთვის ახალ გუნდს უმალ აუღო ალღო. მწვრთნელი ყველაფერშია ჩართული. კარგი ურთიერთობა აქვს სამწვრთნელო შტაბთან. იცის, როგორ იმუშაოს ბიჭებთან. მოიესს უყვარს ყველაფრის ცოდნა ფეხბურთელების შესახებ. ვფიქრობ, სწორედ ასეთი უნდა იყოს „იუნაიტედის“ მწვრთნელი.

- მოიესს უნერვიულია, როდესაც პირველად წარდგა ახალი გუნდის წინაშე. რა უთხრა ფეხბურთელებს?

- ისაუბრა... თქვა, რომ გუნდში ახალწვეულები გამოჩნდებიან.

ჟუნიორი და ნეიმარი - მეგობრები და მტრები

მადრიდის „რეალის“ მცველი მარსელო ჟუნიორი ესპანურ პრესასთან საუბარში ამბობს, რომ „ბარსელონასთან“ შეხვედრებში ნეიმართან მეგობრობას დაივიწყებს. მისი თქმით, მოედანზე მოგობრობა არ ვრცელდება: „ნეიმარი ჩემი დიდი მეგობარია. გამონაკლისი მხოლოდ ის შემთხვევები იქნება, როდესაც ჩვენი გუნდები ერთმანეთს დაუპირისპირდებიან. თამაშის შემდეგ კი მეგობრობას წინ არაფერი დაუდგება. ეს გამოცდილება უკვე მაქვს მიღებული დანიელ ალვეშთან“.

მარსელომ და ნეიმარმა ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში ახლახან კონფედერაციათა თასი ერთიანი ძალისხმევით მოიგეს.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდის სატენდერო განცხადება

ქ. ფოთი, 16 აგვისტო 2013 წ.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდი აცხადებს ტენდერს, 2 (ორი) ერთეული ერთიდაიგივე მარკის მსუბუქი მაღალი გამავლობის პიკაპის ტიპის ავტომანქანის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. შესყიდვის ობიექტის დასახელება, ზოგადი მახასიათებლები, რაოდენობა და მოწოდების ვადები:

ლოტი	შესყიდვის ობიექტის დასახელება და მახასიათებლები	რაოდენობა	მოწოდების ვადა
1	ერთიდაიგივე მარკის მსუბუქი მაღალი გამავლობის პიკაპის ტიპის ავტომანქანა (ახალი, ექსპლუატაციაში არ მყოფი, 2012 წლის გამოშვება)	2	ხელშეკრულების დადებიდან 15 კალენდარული დღე

მიწოდების ადგილი: საქართველო, ქ. ფოთი, გურიის ქ. №222.

2. ტენდერში მონაწილე პირების სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

2.1. ფიზიკური პირებისათვის:
- ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნაროობის საქმის წარმოება.
- ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

2.2. იურიდიული პირებისათვის:
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
- ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია.
- ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

3. ტენდერში მონაწილე იურიდიული და ფიზიკური პირების სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტებს, საიდენტიფიკაციო მონაცემებს, საბანკო რეკვიზიტებს, საკონტაქტო ტელეფონს.
- სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იქნეს ლოტების მიხედვით ცალ-ცალკე, ეროვნულ ვალუტაში - ლარში, დ.ღ.გ-ს გათვალისწინებით, სატენდერო წინადადების ფასში გათვალისწინებული უნდა იქნეს "შემსყიდველის" სახელზე ავტომანქანის გადაფორმების ხარჯები, ასევე, ყველა ის ხარჯი, რაც დაკავშირებულია მოსაწოდებელი საქონლის დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის. შენიშვნა: წინასწარი ანგარიშსწორება არ განხორციელდება.
- საქონლის მიწოდების გრაფიკს;
- ინფორმაციას ანგარიშსწორების ფორმებისა და პირობების შესახებ;
- ინფორმაციას ანალოგიური მიწოდების გამოცდილების შესახებ, შესაბამისი დოკუმენტაციის დართვით;
- ინფორმაციას მოსაწოდებელი საქონლის ტექნიკური მახასიათებლების შესახებ;
- საქონლის საგარანტიო ვადას.

4. ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირებისათვის, სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა იწარმოებს 2013 წლის 19 აგვისტოდან - 2013 წლის 03 სექტემბრის ჩათვლით, დილის 10:00 საათიდან საღამოს 17:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. ფოთი, გურიის ქ. №222, კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციული შენობა.

5. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადების წარდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

6. ტენდერში მონაწილეობის მსურველმა პირებმა, სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქულ კონვერტებში, ქართულ ენაზე, დახურულ პაკეტში ერთ ეგზემპლარად, შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. ფოთი, გურიის ქ. №222, კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციული შენობა.

7. სატენდერო წინადადების და საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2013 წლის 04 სექტემბერი 14:00 საათი, პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები გაიხსნება პრეტენდენტების თანდასწრებით, სატენდერო წინადადების წარმოდგენის ვადის დასრულებისთანავე.

8. დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

9. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება, ალტერნატიული სატენდერო წინადადება არ განიხილება.

10. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, სატენდერო განცხადებაში მითითებული ლოტების შესაბამისად.

11. ტენდერში გამარჯვებულთან ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით.

12. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების წარმოდგენის დასრულების ვადას.

13. ტენდერში მონაწილე იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და მოხდება მათი დისკვალიფიკაცია, თუ ისინი განცხადებით დადგენილ ვადებში არ წარმოადგენენ ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებას და საბაზისო მონაცემთა ნუსხით მოთხოვნილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

14. დაინტერესებულმა პირებმა დამატებითი ინფორმაცია ტენდერის პროცედურების შესახებ შეუძლიათ მიიღონ: ქ.ფოთი, გურიის ქ.N222-ში. საკონტაქტო პირი: დავით კვიციანი, ტელ: 577 923434, ელ.ფოსტა: dato.kviciani@mail.ru


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK CASTING 2013
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE
21 JULY KUTAISI Opera House 14:00 - 17:00
23 JULY GORI Gamarjveba Movie Theatre 14:00 - 16:00
26 JULY GURJAANI Cultural Centre 14:00 - 16:00
29 JULY ZUGDIDI Art Gallery 14:00 - 17:00
17 AUGUST BATUMI Hotel Intourist 14:00 - 17:00
18 AUGUST OZURGETI Theatre Hall 14:00 - 16:00
07 SEPTEMBER TBILISI Tbilisi Mall 14:00 - 18:00
elite 2013
MODEL LOOK
GEORGIA
MODEL MANAGEMENT
MUSIC BOX
kikala studio
MAX
OUtdooR.ge
MSG
ADSSPRINT
McCANN
Curves
myVIDEO.GE
LUXURY
ego
GHN
ANGEL
24 Saati
allmovies.ge
Pink